შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს სხდომის

ო ქ მ ი N 1

2022 წლის 1 მარტი, ქალაქი ონი

სხდომას ესწრებოდნენ:

სერგო ხიდეშელი - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს თავმჯდომარე, მუნიციპალიტეტის მერი;

ლევან შერაზადიშვილი - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე;

მანანა ჩაგელიშვილი - მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის უფროსი, საბჭოს წევრი;

მარინე რაზმაძე - მუნიციპალიტეტის მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი

ხათუნა ღუღუნიშვილი - მუნიციპალიტეტის მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილების ხელმძღვანელი;

ია ალიბეგაშვილი - შშმ პირი, კომისიის წევრი

ლამარა გამყრელიძე - მუნიციპალიტეტის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი განათლების საკითხებში, საბჭოს მდივანი.

საპატიო მიზეზით სხდომას არ ესწრებოდა:

ვეფხია გუგეშაშვილი - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს წევრი, შშმ პირი

სხდომა მიყავდა:

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს თავმჯდომარეს, სერგო ხიდეშელს. ს. ხიდეშელი მიესალმა კომისიის წევრებს და მადლობა გამოუცხადა კომისიის მთელ შემადგენლობას, იმასთან დაკავშირებით, რომ სახალხო დამცველის შშმ პირთა უფლებების დეპარტამენტის მიერ, დადებითად იქნა შეფასებული ონის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს საქმიანობა და აღნიშნა, რომ დღეს ჩვენთან, მადლობის გამოსახატად, სტუმრად მოდის, სახალხო დამცველის აპარატის შშმ პირთა უფლებების დეპარტამენტის წარმომადგენელი, კომისიის წევრთა შეხვედრა გაიმართება 15 საათზე. ეს მნიშვნელოვანი ფაქტია, რადგანაც რესპუბლიკის ადგილობრივ თვითმმართველობებს შორის, ყველაზე დადებითად იქნა შეფასებული ონის მუნიციპალიტეტის მერიის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს მიერ გაწეული საქმიანობა 2021 წელს, რაც ჩემთვის მნიშვნელოვანია.

სხდომის თავმჯდომარემ, სერგო ხიდეშელმა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს 2022 წლის 1 მარტის სხდომის დღის წესრიგის გასაცნობად, სიტყვა გადასცა კომისიის წევრს, განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის უფროსს, კომისიის წევრს, მანანა ჩაგელიშვილს.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1.ონის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის 2022 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ

მომხსენებელი - სერგო ხიდეშელი - ონის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს თავმჯდომარე, ონის მუნიციპალიტეტის მერი

2.შშმ პირთა სოციალური დაცვა და სოციალური დაცვის მიზნით, ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შშმ პირთა აღრიცხვის მდგომარეობა (1.1.2.)

მომხსენებელი - მარინე რაზმაძე - განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების უფროსი

3. პერსონალური ასისტენტის სერვისით სარგებლობის თაობაზე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პერსონალური ასისტენტის სერვისის მართვის სტრატეგიების დამტკიცების შესახებ“ პროექტის გაცნობა (3.1.1.)

მომხსენებელი - მანანა ჩაგელიშვილი- განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის უფროსი, კომისიის წევრი

4. შშმ პირთა უზრუნველყოფა მედიკამენტებით, ჰემოდიალიზის კომპონენტით, სამედიცინო ინვენტარით (4.1.1.)

მომხსენებელი **– მარინე რაზმაძე** - განათლების, კულტურის სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების უფროსი, კომისიის წევრი

1.მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

ონის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის 2022 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ

მომხსენებელი – სერგო ხიდეშელი - ონის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს თავმჯდომარე, ონის მუნიციპალიტეტის მერი

მომხსენებელმა, გააკეთა განმარტება იმასთან დაკავშირები, რომ სამუშაო გეგმა, ეს არის ერთგვარი გზამკვლევი, როგორ უნდა გაგრძელდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს მუშაობა, 2022 წელს, ჩვენს მუნიციპალიტეტში, დაცული რომ იყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებები და შესაძლებლობის მიხედვით, გაუმჯობესდეს მათი კეთილდღეობა. გეგმაში გათვალისწინებულია 7 მიზანი და ამ მიზნების მისაღწევი აქტივობები. ჩვენ, მუშაობის პროცესში, უნდა უზრუნველვყოთ სხვადასხვა მიმართულებით, შშმ პირთა საჭიროებების კვლევა და დავსახოთ მდგომარეობის გაუმჯობესების გზები. ეს იქნება მიზანზე ორიენტირებული, ცოცხალი მუშაობა. ისიც გასათვალისწინებელია, რომ გეგმაში ყოველთვისაა შესაძლებელი შევიტანოთ გარკვეული ცვლილებები, თუ ამას მოითხოვს ყოველდღიური მუშაობის დღის წესრიგი. კომისიის წევრთა უმეტესობა, ჩართული იყო გეგმის შემუშავებაში და მათ შეჰქონდათ წინადადებები თუ, რომელი მიმართულებისათვის უნდა მიგვექცია უფრო მეტი ყურადღება, მიმდინარე საანგარიშო პერიოდში. ამიტომ, შემოვდივარ წინადადებით, დამტკიცდეს ონის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს, 2022 წლის სამუშაო გეგმა.

1. დ ა ა დ გ ი ნ ე ს:

- დამტკიცდეს ონის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს 2022 წლის სამუშაო გეგმა (თან ერთვის).

- პერიოდულად, გადაიხედოს სამუშაო გეგმის მიზნების შესასრულებლად დაგეგმილი აქტივობები და საჭიროების მიხედვით, მოხდეს აქტივობათა გადანაცვლება ან/და ჩანაცვლება სხვა, უფრო შედეგზე ორიენტირებული აქტივობებით.

2. მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

შშმ პირთა სოციალური დაცვა და სოციალური დაცვის მიზნით, ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შშმ პირთა აღრიცხვის მდგომარეობა (1.1.2.)

მომხსენებელი - მარინე რაზმაძე - განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების ხელმძღვანელი

მომხსენებელმა მ. რაზმაძემ, განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების უფროსი, აღნიშნავს, რომ ონის მუნიციპალიტეტში გარკვეული ყურადღება აქვს დათმობილი შშმ პირთა აღრიცხვას. ზუსტი აღრიცხვის გარეშე, წარმოუდგენელია გამოყოფილი სოციალური დახმარებებისათვის გამოყოფილი ფულადი სახსრების სწორად განაწილება. ანუ, ჩვენი მოქალაქეების სოციალური დაცვა და სოციალური დაცვის მიზნით, შშმ პირთა ზუსტი აღრიცხვა, ერთმანეთთან სრულ ბმაშია. ონის მუნიციპალიტეტში 1 მარტის მდგომარეობით, რეგისტრირებულია 341 შშმ პირი ონის მუნიციპალიტეტში 2022 წლის 1 მარტის მდგომარეობით რეგისტრირებულია სულ, 341 შშმ პირი.

- I - ჯგუფის მქონე - 69 პირი;
- II - ჯგუფის მქონე - 216 პირი;
- III - ჯგუფის მქონე - 56 პირი.

მათ შორის: არასაპენსიო ასაკის 167 შშმ პირი.

0 -18 წლამდე ასაკის - 7 შშმ ბავშვი.

- I - ჯგუფის მქონე - 52 პირი;
- II - ჯგუფის მქონე - 91 პირი;
- III - ჯგუფის მქონე - 17 პირი.

სსსმ პირის სტატუსი მინიჭებული აქვს: 21 პირს

- 0 - 6 წლამდე - 12 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირი.
- 6 – 18 წლამდე - 9 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირი.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, მუნიციპალური პროგრამით განხორციელდება ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის N 19 დადგენილების „ონის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე პირებზე ონის მუნიციპალიტეტის

2022 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ დანართის შესაბამისად

მუხლი 5. არასაპენსიო ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა დახმარება

1. ერთჯერადი დახმარება გაიცემა ცერებრალური დამბლის, დაუნის სინდრომის, ტეტრაპლეგიის, ჰემიპლეგიის, პარაპლეგიის, მკვეთრად გამოხატული ტეტრაპარეზის, მკვეთრად გამოხატული პარაპარეზის, მკვეთრად გამოხატული ჰემიპარეზის გამო მყარი ნარჩენი მოვლენების, გონებრივი ჩამორჩენის, ეპილეფსიის, ფსიქიკური პრობლემების, III–IV ხარისხის სკოლიოზის, ორმხრივი ნეიროსენსორული (IV ხარისხის) სმენაჩლუნგობის და ინვალიდობის ეტლის საჭიროების მქონე არასაპენსიო ასაკის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე,
2. რომელთაც არ შეუძლიათ სრულფასოვნად ჩაერთონ საზოგადოებრივ საქმიანობაში ან იცხოვრონ ცხოვრების ჩვეულებრივი წესით, შემდეგნაირად:

ა) წლის განმავლობაში – 300 ლარი;

ბ) საახალწლო-საშობაოდ – 100 ლარი.

2022 წლის 1 მარტის მდგომარეობით, ისარგებლა 19 ბენეფიციარმა.

2. 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებზე ერთჯერადი დახმარება გაიცემა შემდეგნაირად:

ა) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე, წლის განმავლობაში - 300 ლარი; თუ მათზე არ ვრცელდება ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მოქმედება.

ბ) შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებზე 1 ივნისს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით –100 ლარი;

გ) შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებზე საახალწლო-საშობაოდ – 100 ლარი, თუ მათზე არ ვრცელდება ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მოქმედება.

3. ბ) საახალწლო-საშობაოდ – 100 ლარი, თუ მათზე არ ვრცელდება ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მოქმედება.

2022 წლის 1 მარტის მდგომარეობით ისარგებლა 3 ბენეფიციარმა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული დახმარების მისაღებად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ოჯახის წევრის, მეურვის, მზრუნველის ან მხარდამჭერის მიერ მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილი უნდა იქნას დოკუმენტები:

მე - 14 მუხლი. არასაპენსიო ასაკის შშმ პირების მათ შორის ბავშვების, ონის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ომის ვეტერანთა, მათთან გათანაბრებულ პირთა, აფხაზეთიდან და ცხინვალიდან დევნილთა ოჯახების დახმარება:

მე- 14 მუხლის საფუძველზე არასაპენსიო ასაკის შშმ პირების, მათ შორის შშმ ბავშვთა ოჯახების დახმარების მიზნით თითოეული ოჯახის (ყოველთვიურად) წყლის და კანალიზაციის გადასახადის და დასუფთავების მოსაკრებლის დაფარვა განხორციელდება აღნიშნული მუნიციპალური პროგრამით.

2022 წლის 1 მარტის მდგომარეობით ისარგებლა 220 ბენეფიციარმა.

ზემოაღნიშნული მუნიციპალური პროგრამის მე-2 მუხლის „ავადმყოფთა დახმარება“, შესაბამისად დაფინანსდება მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული შშმ პირთა, სამედიცინო დიაგნოსტიკური - კვლევები, სტაციონარში მედიკამენტური და ქირურგიული მკურნალობა.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

ხათუნა ღუღუნიშვილი - კომისიის წევრი - აღნიშნავს, რომ მნიშვნელოვანია შშმ პირთა აღრიცხვა. აქ წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, დადებითად უნდა შეფასდეს სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების მუშაობა ამ მიმართულებით.

მანანა ჩაგელიშვილმა - კომისიის წევრი -მან თქვა, რომ სამსახურის - განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სტრუქტურული ერთეულის დაქვემდებარებაშია და ჩვენ ვცდილობთ, მუდმივი ყურადღების ცენტრში იყოს შშმ პირთა აღრიცხვა. ხაზგასმით მინდა ავღნიშნო, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების უფროსის მ. რაზმაძის კარგი მუშაობა.

2.დ ა ა დ გ ი ნ ე ს:

მიღებული იქნას ცნობად, განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების უფროსის მარიამ რაზმაძის ინფორმაცია „შშმ პირთა სოციალური დაცვისა და მათი სოციალური დაცვის მიზნით, ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შშმ პირთა აღრიცხვის მდგომარეობის'' შესახებ (1.1.2.)

3.მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

ინფორმაცია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პერსონალური ასისტენტის სერვისის მართვის სტრატეგიების დამტკიცების შესახებ“ პროექტის შესახებ.

მომხსენებელი - მანანა ჩაგელიშვილი- განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის უფროსი.

მომხსენებელმა, განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის უფროსმა, მანანა ჩაგელიშვილმა, აღნიშნა, რომ საინტერესო დოკუმენტი უნდა წარმოგიდგინოთ, ესაა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პერსონალური ასისტენტის სერვისის მართვის სტრატეგიების დამტკიცების შესახებ“ პროექტი. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომლის განხორციელებაც, ზედმიწევნით მნიშვნელოვანი დახმარება იქნებოდა შშმ პირებისათვის, კერძოდ, კი მათთვის, ვისთვისაც საჭიროა ასეთი მომსახურების გაწევა, თუმცა ეს სერვისი მოითხოვს ძალიან დიდ დაფინანსებას თითოეული მუნიციპალიტეტისათვის. მან დეტალურად მიმოიხილა დოკუმენტი და თქვა, რომ მართალია ეს არის მომავლის საქმე, თუმცა ჩვენ უნდა ვერკვეოდეთ მის შინაარსში და ვიცოდეთ, რა მოთხოვნების შესრულება მოუწევს მუნიციპალიტეტებს, ამ მიმართულებით. მანამდე კი, კარგი იქნება, ჩვენ გადავხედოთ მუნიციპალიტეტში არსებულ მდგომარეობას და მოვამზადოთ სამომავლოდ, დაახლოებითი სტატისტიკა, რამდენი შშმ პირი გვყავს ისეთი, ვისაც გადაუდებლად სჭირდება და სამომავლოდაც დასჭირდება პერსონალური ასისტენტით მომსახურება. საჭირო იქნება, ასევე, თვალი მივადევნოთ, როდის მიიღებს ოფიციალურ სახეს წარმოდგენილი დოკუმენტი.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

სერგო ხიდეშელმა - კომისიის თავმჯდომარე, მუნიციპალიტეტის მერი, რომელმაც აღნიშნა, რომ 2025 წლამდე ალბათ, კიდევ უფრო დაიხვეწება საკითხი და მუნიციპალიტეტის მერია, რა თქმა უნდა, საჭიროების მიხედვით იმოქმედებს. ამისთვის სახელმწიფოს მხრიდან ალბათ, გამოიყოფა შესაბამისი რესურსი. დაველოდოთ, 2025 წლამდე, ეტაპობრივად, რა სახის დავალებები იქნება განსახორციელებელი.

3. დ ა ა დ გ ი ნ ე ს:

მიღებულ იქნას ცნობად, პერსონალური ასისტენტის სერვისით სარგებლობის თაობაზე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პერსონალური ასისტენტის სერვისის მართვის სტრატეგიების დამტკიცების შესახებ“ პროექტი.

4.მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

შშმ პირთა უზრუნველყოფა მედიკამენტებით, ჰემოდიალიზის კომპონენტით, სამედიცინო ინვენტარით (4.1.1.)

მომხსენებელი **– მარინე რაზმაძე** - განათლების, კულტურის სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების უფროსი

მარინე რაზმაძემ -განათლების, კულტურის სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების უფროსი

მომხსენებელმა **მარინე რაზმაძემ** -განათლების, კულტურის სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების უფროსმა, კომისიის წევრმა, კომისიას მოახსენა, რომ დღეის მდგომარეობით ჰემოდიალიზის პროგრამით სარგებლობს 3 ბენეფიციარი. მედიკამენტებით უზრუნველყოფის მიზნით, დახმარება გაეწევა მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ, ონკოლოგიური დაავადების მქონე მოქალაქეებს.

წლის მანძილზე, დახმარება გაიცემა, ერთჯერადად, არა უმეტეს 150 (ასორმოცდაათი) ლარისა.

ანაზღაურება ხდება, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, შესაბამისი აფთიაქის საბანკო ანგარიშზე. 2022 წლის 1 მარტის მდგომარეობით, ამ მომსახურებით, ჯერჯერობით, ისარგებლა 2 ბენეფიციარმა.

სამწუხაროდ, ჩვენი ბენეფიციარები, ადგილზე ვერ სარგებლობენ ჰემოდიალიზით, ადგილზე მომსახურებით, იმიტომ, რომ არ არის საავადმყოფოში ჰემოდიალიზის აპარატები. ამის გამო ავადმყოფებს უწევთ მუნიციპალიტეტის გარეთ მკურნალობის ჩატარება, რაც მათთვის მომსახურებაში სერიოზულ დისკომფორტს ქმნის.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

სერგო ხიდეშელმა – შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს თავმჯდომარე, მუნიციპალიტეტის მერი, რომელმაც აღნიშნა, რომ ჯერ კიდევ მერის მოადგილედ მუშაობის დროს, როდესაც ვხვდებოდი მუნიციპალიტეტის მოსახლეობას, მოქალაქეები აყენებდნენ საკითხს, სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების თაობაზე. მათ შორის სვამდნენ საკითხს ჰემოდიალიზის კომპონენტით ადგილზე მკურნალობასთან დაკავშირებითაც. ასევე, შევხვდი საავადმყოფოს თანამშრომლებს და ჩემთვის ბევრი საკითხი, მათ შორის პრობლემური საკითხებიც, ძალიან ნაცნობია. მართლაც, დღეს, უბრალოდ, უხერხულია, ჩვენს მოქალაქეებს ვერ მოვუგვაროთ ეს საკითხი. არ მიყვარს წინასწარი გაპიარება, ვიდრე საბოლოო გადაწყვეტილებები არ იქნება მიღებული. პიარი ჩემი მიზანი არ არის, მთავარია საქმე გაკეთდეს. ისე, კი მინდა გითხრათ, რომ ძალიან აქტიურად ვმუშაობთ ამ საკითხებზე, უკვე გადაიდგა პირველი, სერიოზული ნაბიჯები. პირველ რიგში დღის წესრიგში დადგა შენობის ან/და საჭირო ფართის მოძებნა, სადაც უნდა განთავსდეს დიალიზის აპარატები. მოგვიწევს სპეციალისტების მოწვევა, რომლებიც ადგილზე გადაამზადებენ ჩვენს ექიმებს, პარალელურად, მოემსახურებიან მოსახლეობას. იმედი მაქვს და მჯერა, რომ ეს საკითხი საბოლოოდ, ჩვენი მოქალაქეების სასარგებლოდ, აუცილებლად გადაწყდება. მათ მალე, აღარ დასჭირდებათ მუნიციპალიტეტის

გარეთ გასვლა, ჰემოდიალიზის კომპონენტით სარგებლობის მიზნით. ამ ეტაპზე, აქტიური მოლაპარაკებები გვაქვს საჩხერის საავადმყოფოსთან. ახალი გზა, რომელიც გვაახლოებს ამ საავადმყოფოსთან, მნიშვნელოვანია ამ მიმართულებითაც. საჩხერის საავადმყოფოს ჩვენ აქტიურად გამოვიყენებთ ჩვენი მოსახლეობისათვის. ამ მიზნით მიდის სერიოზული მოლაპარაკებები საავადმყოფოს ხელმძღვანელობასთან. ჩვენი მოქალაქეები სადღესასწაულო დღეების შემდეგ, უკვე იგრძნობენ პირველ შედეგებს.

შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს წევრები, მუნიციპალიტეტის მერის მიერ დაგეგმილ განსახორციელებელ საკითხებს, რომელიც უკვე არის შესრულების ფაზაში, კმაყოფილებით შეხვდნენ და აღნიშნეს, რომ ამ საკითხების გადაწყვეტა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საქმეში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

4. დ ა ა დ გ ი ნ ე ს:

მიღებული იქნას ცნობად სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების უფროსის მარინე რაზმაძის ინფორმაცია „შშმ პირთა უზრუნველყოფა მედიკამენტებით, ჰემოდიალიზის კომპონენტით, სამედიცინო ინვენტარით“ თაობაზე (4.1.1.)

-მ. რაზმაძემ, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების უფროსმა, სისტემატურ კონტროლზე აიყვანოს მედიკამენტებით, ჰემოდიალიზის კომპონენტით და სამედიცინო ინვენტარით შშმ პირთა დროული დაფინანსების საკითხი, ასევე სამედიცინო ინვენტარით უზრუნველყოფის თაობაზე, საჭიროების მიხედვით, დააყენოს საკითხი ზემდგომი ორგანოების წინაშე.

დაგეგმილი საკითხების განხილვის შემდეგ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს თავმჯდომარემ, სერგო ხიდეშელმა, სხდომის მუშაობა შეაჯამა და საბჭოს შემადგენლობას, შემდგომ მუშაობაში, წარმატებები უსურვა.

ონის მუნიციპალიტეტის მერიის შეზღუდული შესაძლებლობის

მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს თავმჯდომარე - სერგო ხიდეშელი

ონის მუნიციპალიტეტის მერიის შეზღუდული შესაძლებლობის

მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს მდივანი - ლამარა გამყრელიძე